შაბათი, 1918 წ. აპრილის 7 (20) № 75

წლიწადი მეოთხე

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე

საქართველო

რედაქცია

ხელნაწერი მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოდ ითვლება. დაუბეჭდავი ხელნაწერი მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

კონტორა

პირველ აპრილიდან ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და უფრო—18 მ., თვეში (მხოლოდ ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადებების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით: 15×2—10 მანეთი, 20×2—13 მანეთი, 30×2—15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა შემოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

დღეს:

ცნობები:

ბათუმის შესახებ ოფიციალი ცნობა არ მოსულა.—ფოთიდან რუსეთისკენ სამგზავრო გემების წესიერი მიმოსვლა დაიწყო.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ლუდმილა ედუარდის ასული და დავით ვასილის ძე სიდამონ-ერისთავნი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უდროოდ ტრაგიკულად დაღუპულ ძვირფას და დაუვიწყარ შვილის პირველთა და ძმისა მეორეთა

არჩილის

სულის მოსახსენებლად წლის თავის შესრულების გამო გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში, და საფლავზედ კვირას აპრილის 8-ს, საათის 10 ზე დილით.

1—1577—1

კვირას, აპრილის 8-ს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილი იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

მიხეილ მელიტონის ძის

ყანჩელის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულმოკლულნი მეუღლე ნინო ნიკოლოზის ასული, შვილები: ლადო, საშა, ერეკლე; ნიკო, ვახტანგ, დათიკო და გიორგი, ცოლის და ანნა და ქვრივი იოსებ იმედაშვილები.

1—1

შვილები: დავითი, მიხეილი, ლეონიდი რამაზის ძენი ცოლ-შვილებით და ქალი თეკლა რამაზის ასული, ქვრივი რძალი ოლღა ნიკოლოზის ასული ხიმშიაშვილისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ნინო ჩრდილელის ასული

ხიმშიაშვილისა

დაკრძალვა მოხდება სოფელ ზუდაჩხურში (დუშეთის მაზრა) საგვარეულო აკლდამაში, ცხედარს გაასვენებენ ქ. თბილისიდან დღეს, დილის [illegible] სადგურზე.

1—1

მწუხარებით შეპყრობილი მეუღლე სპირიდონ ღლონტის ძე, შვილები: ნიკოლოზ, პავლე, გიორგი და ანასტასია; რძალი ეკატერინე მაქსიმეს ასული და შვილის-შვილი ქეთევან ჩიტაიები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხვალ 8 აპრილს, 12 საათზე ქ. ფოთში ნახუტურის ეკლესიაში ექვსი თვის სიკვდილის შემდეგ, გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი

პელაგია მახუას ასულის

ჩიტაიას

სულის მოსახსენებლად.

1—1576—1

ახალი კურსი

ამ ჟამად სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში დიდი ბრძოლაა: ერთის მხრივ ომის და მეორე მხრივ ზავის მიმართულებათა შორის. ჩხენკელის დაბრუნებამ ერთგვარი ცვლილება შეიტანა პარტიის ფსიხიკაში: როგორც ეხლა დანამდვილებით ირკვევა, ჩხეიძე და ჩხენკელი ზავის მომხრენი არიან და ჰ ურთ ისეთი კომბინაცია გამოძებნონ, რომელიც საბოლოოდ არ ჩაგვითრევს ჩვენ ინგლის-რუსეთის კოალიციაში. რუსულ ორიენტაციის მომხრე ისევ არის წერეთელი. რა ახალ მოსაზრებებით გამოდის მან თავისი მთავარი დებულებანი ამ ბოლო დროს, ჩვენ არ ვიცით. მაგრამ ვიცით რა მისი უიმედო და უილაჯო სიყვარული რუსეთის დემოკრატიისადმი, ალბად მთავარი ლოღიკური საბუთი მისი ის არის, რომ რუსეთის დემოკრატია კვლავ აღსდგება და იმ იმედით, რომ წერეთელი ოდესმე გააცოცხლებს ამ ფერ-წასულ ქალწულს—საქართველოს ისევ რუსეთისკენ ეზიდება. პოზიცია ეს გვგონია, როგორც მთავრობის პასუხისმგებელ ხელმძღვანელის, ან გამოურკვევლად უნდა მივიჩნიოთ, ან ეჭვი არ უნდა შევიტანოთ მის გულწრფელობაში და დავიჯეროთ ის, რაც სთქვა მან ეროვნულ საბჭოს კრებაზე. ეროვნულ საბჭოს კრებაზე გვგონია ეუბნებოდა ეროვნულ-დემოკრატებს: „თქვენ გპირდებით, რომ უარეს შემთხვევაში, ოსმალეთს შეუძლიან საქართველოს ტერიტორია მიეკუთვნოს თავის ისტორიულ საზღვრებში. თუ ეს ასე იქნება, მე კიდევ გიცხადებთ, რომ ჩვენ ამის წინააღმდეგნიც არ ვიქნებით და ითხოვეთ თქვენ“.

ასეთია დღე-დღეობით ის მიმართულებანი, რომელნიც იბრძვიან სოციალ-დემოკრატიაში. რომელი აზრი გაიმარჯვებს—ამას ყოველ საათში უნდა ველოდეთ. და როგორც სიმპტომი იმისა, თუ რა აზრი უფრო იკიდებს დღეს სოციალ-დემოკრატიაში ფეხს, „ერთობის“ უკანასკნელი ნომერია. „ერთობის“ მეთაური აშკარად აცხადებს, რომ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი შეუძლებელია ამიერ-კავკასიის ინგლის-რუსეთთან მიკედლებით გადაწყდეს. გაზეთს სჯერა, რომ ამ საკითხში სხვამ უნდა ითამაშოს გადამწყვეტი როლი და ეს სხვა გერმანეთია. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ მივესალმოთ ასეთს აზრს და მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ ამავე აზრისათვის ჩვენ იგივე „ერთობა“ ოითქმის მოღალატეებად გვაცხადებდა.

მთელ იმ სიჯიუტისთვის, რომლითაც სავსეა „ერთობის“ ორი უკანასკნელი წერილი სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკის შესახებ, ჩვენ შეგვეძლო კარგი ტონი გვეწოდებინა. გაზეთი სცდილობს აშკარა გახადოს ჩვენთვის ის ლოღიკა, რომლის ძალით პარტია აქამდის ასეთ მერყეობას განიცდიდა. მაგრამ კარგი ტონი ყოველთვის კარგი პოლიტიკა არ არის. ჩვენ ვერ ვპოულობთ დიდ თავის გასამართლებელ საბუთს იმაში, რითაც ასე მოაქვს თავი „ერთობას“. გაზეთის აზრით კარგი პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ პოლიტიკა უკან უნდა მისდევდეს ცხოვრებას როგორც მწყემსი ზანტ საქონელს. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ადამიანის გონება იმით განირჩევა ცხოვრების სტიქიურ მოვლენებიდან, რომლებიც თავის-თავად მუდამ უსულო ფაქტებიდან შესდგებიან, რომ გონიერებას სტიქიაში და ცხოვრების პროცესში ანგარიში შეაქვს. განა ჩვენი სოციალ-დემოკრატიის მოვალეობას არ შეადგენს წინდაწინვე იცოდეს, რა დაემართება საქართველოს, თუ ის ინგლის-რუსეთის კოალიციაში მოჰყვება? და განა ისიც, რასაც დღეს „ერთობა“ ამბობს, რომ შესაძლებელია ამიერ-კავკასიამ გერმანეთის კოალიციაში ამოჰყოს თავი—ანგარიში არ არის? დიახ, ანგარიშია! მაგრამ ჩვენი სოციალ-დემოკრატია ამ ანგარიშს ისე აწარმოებს, თითქოს თვლა არ იცოდეს, როდესაც ის ისწავლის ამ თვლას, შესაძლებელია დასათვლელი აღარა იყოს რა. აი, სად არის ჩვენი საფრთხე!

შ. ამირეჯიბი.

რა გზას უნდა დავადგეთ?

არასოდეს, როგორც ეს უკანასკნელ დროს, საქართველოსათვის მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის ასე ხელშემწყობი პირობები არ წარმოშობილა. მცირეოდენი ცდა და გარჯა კმაროდა, რომ მონობის მძიმე უღელი კისრიდან გადაგვეგდო და ჩვენი თავის პატრონობა, საკუთარი ბედის ქმნის უფლება ხელში ჩაგვეგდო. იმავე დროს არასოდეს საქართველოს პოლიტიკურ მეთაურებს მარჯვე და მოხერხებული დრო ასე ცუდად არ მოუხმარიათ!

მაგრამ რაც იყო,—იყო. და დღეს მხოლოდ დღევანდელ მდგომარეობას უნდა გავუწიოთ ანგარიში.

ამიერ-კავკასიის სეიმმა საზავო მოლაპარაკება შესწყვიტა და თავდაცვითი ომი გამოაცხადა. გვაქვს თუ არა უფლება მთავრობის ასეთს ნაბიჯს ჯავრი დავუდოთ?

მეტადრე მას შემდეგ, რაც ამ ნაბიჯის შედეგები დავინახეთ, ეს ჩვენი მოვალეობაა...

სეიმმა ხსენებული გადაწყვეტილებით დამარცხებული კოალიციის ფერხულში ჩაგვაბა და დამარცხების შედეგების წინაშე დაგვაყენა!

მაშ რა გზას უნდა დავადგეთ?

ყოვლის უწინარეს რუსული ორიენტაცია გერმანულ-ოსმალური ორიენტაციით უნდა შევსცვალოთ. მაშასადამე შეწყვეტილი მოლაპარაკება კვლავ უნდა განვაახლოთ.

მაგრამ ამიერ-კავკასიის სეიმი ცენტრალურ სახელმწიფოთა და მას შუა ჩატეხილ ხიდს ვეღარ გაამართლებს და, უეჭველია, ახალ ორიენტაციას ვეღარ გაიზიარებს.

მაშ ჟამი დადგა დრო, როდესაც ამიერ-კავკასია ბუნებრივ ერთეულებად უნდა დანაწილდეს და თვითეულმა თავისი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა ცალკე აწარმოოს.

მაშ საქართველომ საკუთარი მთავრობა დღესვე უნდა შექმნას.

ცხადია კი, რომ საზავო მოლაპარაკებასთან ერთად საქართველომ თავდაცვითი ომიც უნდა აწარმოოს. სულმდაბალსა და ლაჩარს პატივს არავინ სცემს და გმირობას დანაშაულად არ ჩაგვითვლიან.

დაბასრულ უნდა ვსთქვა, რომ ამ საბედისწერო ჟამს, როდესაც თვითეულ წამსაც კი შეუძლია ერის ბედი გადასწყვიტოს, პარტიული ყოყმანობისა და კონფერენციების დრო არ არის! თვარა, ჟამი როცა გადაბრუნდება, რაღა მნიშვნელობა ექნება გზას?!

მაშ ნუ გადავიქცევით ჰამლეტებად, უკუ ვაგდოთ ყოყმანი და გაჭირვებაში ჩავარდნილ სამშობლოს სასწრაფოდ მივეშველოთ!

ვახიდ წერეთელი.

ეროვნული პოლიტიკა

რაღა სდუმს საქართველოს ეროვნული საბჭო ამ ეროვნული განწირვის ჟამს? იქნებ მახლობელი საათები და დღეები საბედისწერო და გადამწყვეტი გამოდგეს საქართველოს არსებობისთვის, იქნებ ხვალ უკვე გვიან იყოს იმის თქმა, რაც დღეს უნდა ითქვას, იმ ნაბიჯის გადადგმა, რომელიც ეხლავე უნდა იქნას გადადგმული.

ამიერ-კავკასიის მთავრობამ უარჰყო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობა, რომელსაც ოსმალეთი მისთვის სავალდებულოდ სთვლიდა და თავდაცვის საომარს შეუდგა. ქართველი ერის ყველა ჯგუფი და მიმართულება მიემხრო მთავრობის ამ ნაბიჯს, თუმცა მათ კარგად უწყოდნენ, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობაში თუ იყო მუხლი შესახებ ბათუმ-ყარსის დათმობისა, ამაში თვით ამიერ-კავკასიის მთავრობასაც აქვს ბრალი და თუ ამის შემდეგ ოსმალეთის მადა კიდევ გაიზარდა, ამის მიზეზი, სხვათაშორის, ისიც უნდა ყოფილიყო, რომ ამიერ-კავკასიის სეიმისა და მთავრობის ხელმძღვანელი მენშევიკების პარტია დღემდის არ თანხმდება ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადებას, და, მაშასადამე, რუსეთიდან სრულიად გამოყოფას, რასაც ფრიად დიდ მნიშვნელობას აძლევს ოსმალეთი.

ქართველი ერი ერთსულოვნად მიემხრო თავდაცვის ომს, თუმცა თავის სამხედრო ძალებზე მას გადაჭარბებული წარმოდგენა არ ჰქონია. ყველამ უწყოდა, რომ ამ რევოლუციის შემდეგ მთავრობამ და რევოლუციონურ ორგანიზაციებმა თუ რამ სამხედრო ზომები მიიღეს, ყოველივე ეს სამხედრო ძალების დაშლისა და დარღვევის საქმეს ემსახურებოდა და ერთი კვირის განმავლობაში კი არ შეიქმნება ძლიერი ჯარი, რაც უნდა დიდი იყოს ამის საჭიროება.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ დიპლომატიური და სამხედრო მარცხი, საშინაო და საგარეო სიროთულე საბოლოოდ დაამსხვრევდა იმ არაბუნებრივ პოლიტიკურ კომბინაციებს, რომელთაც შეუძლებლად გახადეს ამიერ-კავკასიის ერთა პოლიტიკური ვითარების გამორკვევა და ბუნებრივ კალაპოტში ჩაყენება.

საზავო მოლაპარაკებამ ნათლად გამოაშკარავა და დღეს ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელებისთვის ეს საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ საზავო მოლაპარაკების მარცხი ოსმალეთის გადაჭარბებული მოთხოვნილებით კი არ აიხსნება მხოლოდ, არამედ უფრო ჩვენი, ამიერ-კავკასიის პოლიტიკის უვარგისობით.

გამოირკვა საბუთით და ამის წინათვე გასათვალისწინებლად დიდი მნიშვნელობაც არ იყო საჭირო,

რომ უფრო ზომიერი იქნებოდა ოსმალეთის მადა, თუ მას მოლაპარაკებას გაუმართავდა „დამოუკიდებელი“ ამიერ-კავკასია, რუსეთიდან სავსებით და საბოლოოდ ჩამოშორებული. რა საბედისწერო იყო ოსმალეთისთვის რუსეთის მოსაზღვრეობა, ამის საუკეთესო მოწმეა რუსეთსა და ოსმალეთის შორის დაუსრულებელი ომები მას შემდგომ, რაც რუსეთი ოსმალეთის საზღვრებს მოუახლოვდა. ამას მოჰყვა ოტტომანთა ძლიერი იმპერიის დასუსტება, დაუძლურება. გასაგებია, რომ ოსმალეთი ისწრაფვის რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება მტკიცე საზღვარი დაიდვას რუსეთთან. ასეთი საიმედო საზღვარი იქნებოდა მისთვის ამიერ-კავკასიის სახელმწიფო, თუ ის რუსეთს გამოეყოფოდა და დამოუკიდებელ ერთეულად მოეწყობოდა. ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფო არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა ოსმალეთისათვის, ის მხოლოდ საფარი იქნებოდა მისთვის საშიშ ჩრდილოეთის მეზობლის წინააღმდეგ. ყოველივე ეს ცხადი იყო, მაგრამ შეუძლებელი გახდა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამიერ-კავკასიის ნაწილს მიეღო ამიერ-კავკასიის გამოყოფა და რუსეთიდან საბოლოოდ ჩამოშორება.

განა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ ოსმალეთი ცეცხლითა და მახვილით სცდილობს ჩრდილოეთისაკენ საიმედო საზღვრის შექმნას? იქნებ ოსმალეთისთვის იყო ასე საჭირო ამიერ-კავკასიის რუსეთიდან გამოყოფა, ხოლო თვით ამიერ კავკასიისთვის მავნე და საზიანო? რომ ჩვენი პოლიტიკა ამიერ-კავკასიის ერთა რეალურ ინტერესებზე ყოფილიყო დამყარებული ქვეყნის ეკონომიურ-კულტურულ პირობებზე და არა სხვა და სხვა გარეშე მოსაზრებებზე და პარტიულ სურვილებზე, ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლად შენება დაიწყებოდა რევოლუციის პირველ დღეებშივე და სრულიად დამოუკიდებლივ იმისა, მოითხოვდა ამას ოსმალეთი თუ არა.

რუსეთის რევოლუცია და მის შემდგომ მოვლენებმა მრავალმხრივ არამარტო რუსეთის ძველი სახელმწიფოებრივი წყობილება დაამხვრია, არამედ მრავალი კიდევ სხვა ეკონომიურ პოლიტიკური პირობები და შესაძლებლობა. ამ რევოლუციების შემდგომ, რასაკვირველია, სულ სხვა სახის იქნება, რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობილება, მისი საგარეო და საშინაო პოლიტიკა, სულ სხვა იქნება აგრეთვე მისი შინაური და საგარეო ეკონომიური ურთიერთობა. რუსული იმპერიალიზმი, რომელიც შინაურ ძალებს და ენერგიას კი არ ემყარებოდა, არამედ შემთხვევით პირობებსა და საერთაშორისო ურთიერთობას, საბოლოოდ დასამარხებულად უნდა ჩაითვალოს და თუ ის აღსდგება, სხვა უნდა იყოს მისი ბუნება და მიმართულება. ამიერ-კავკასია უკვე განთავისუფლდა იმ არა-ბუნებრივ, ხელოვნურ კავშირიდან, რომელსაც წარმოადგენდა მისი რუსეთთან ერთის სახელმწიფოებრივ ერთეულში მოქცევა. ადგილობრივ და რუსეთიდან გადმოხვეწილ პოლიტიკური წრეების ცდა ამიერ-კავკასიის ხელახლა რუსეთის ფარგლებში მომწყვდევის ცდა, ფუჭი და უშედეგო იქნება. ასეთს მოღვაწეობას შეუძლიან განაგრძოს ამიერ-კავკასიის პოლიტიკური ცხოვრების ცხოველი გაურკვევლობა და არევ-დარევა, მაგრამ ამიერ კავკასიის ერთა პოლიტიკის ჩრდილოეთისაკენ მიმართვა ამას არ ძალუძს. ამიერ კავკასია რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკამ სამხრეთისაკენ მიმართულ გზად და ხიდად გაიხადა. ეს შესაძლო იყო სულ სხვა პირობებში და ძალთა განწყობილებაში. ამიერ კავკასია კი ბუნებრივად და ისტორიულადაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის გამაერთიანებელი ხიდია და ამის შემდგომ ის უცილობლივ ასპარეზად გახდება იმ უდიდესი ეკონომიურ-კულტურულ ტალღებისა, რომელნიც შუა ევროპიდან აზიის ცხელ ქვეყნებისაკენ მიიმართება.

ა. ახათიანი.

რუსული პრესა

„კავკაზსკოე სლოვო“ სწერს:

ჩვენ არ ვამბობთ, რომ ამიერ-კავკასიას თავდაცვა არ შეუძლიან, მაგრამ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, თუ ამიერ-კავკასია შესძლებს ჩრდილოეთთან კავშირის დაჭერას, —ოსმალეთს სერიოზულ ზიანს მივაყენებთ. ჩრდილოეთიდან მოსული ბრძოლის უნარ შერჩენილი, საბრძოლველ მასალით და იარაღით უხვად შეიარაღებული ორი თუ სამი პოლკი ერთის დაკვრით გადასწყვეტს კამპანიის ბედს. გადასწყვეტს მარტო იმიტომ კი არა, რომ ფრონტზე ძალთა განწყობილება ჩვენს სასარგებლოდ შეიცვლება, არამედ იმიტომ, რომ მათი მოსვლა გაგვიადვილებს ანარქიასთან, ოსმალეთის მთავარ მოკავშირესთან ბრძოლას.

თვით ამიერ-კავკასიას თავის საკუთარ ძალებით არ შეუძლიან ფრონტზე ომი აწარმოოს და ზურგში კი ანარქია ჩააქროს. რომ ეს მოხდეს, აუცილებლად საგარეო დახმარებაა საჭირო. ამ დახმარების აღმოჩენა კი შეუძლიან მხოლოდ ჩრდილოეთს. ჩრდილოეთიდან შეიარაღებულ ძალების წამოსვლა გამოაფხიზლებს აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიის ანარქისტულ ელემენტებს; აიძულებს მათ შესწყვიტონ ის უწესოებანი, რომელთაც შეაჩერეს აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიის წესიერი ცხოვრება და ამით სრული დაშლა შეიტანეს ჩვენ მომქმედ ლაშქრის ზურგში.

სომხების გაზეთს ოსმალეთთან და ანარქიასთან ბრძოლისთვის საუკეთესო მოკავშირედ მიაჩნია რუსეთის ბოლშევიკები, რომელმაც თავისი სამშობლო მტრის ულუფად გახადეს და ქვეყანა კი ანარქიის ცეცხლში გახვიეს. ასეთს ელემენტებთან ჩვენი მეზობლების მეთაურები კარგა ხანია დაკავშირებული არიან შაუმიანის საშუალებით. ეხლა მათ უნდათ, რომ თავის თავის მოკავშირეებს ჩვენი ქვეყნის კარებიც გაუხსნან და მთელი ამიერ-კავკასია ამ ხულიგნურ ელემენტების სათარეშოდ გახადონ.

ომი

ამერიკელები ომის შესახებ.

საფრანგეთის ფრონტზე მყოფმა ამერიკულ ჯარის უფროსმა გენ. პერშინგმა გენერალ ფოშს შემდეგი განუცხადა:

— მე მოვედი გაუწყოთ, რომ ამერიკის ერი ამაყობს იმით, რომ ჩვენი ჯარები ამ ომში მონაწილეობას იღებენ. ეხლა მხოლოდ ერთი აზრი, ერთი მიზანი უნდა გვქონდეს—ეს არის გამარჯვება. ჩვენი ქვეითა ჯარი, არტილერია და საჰაერო ფლოტი მთლად ჩვენს განკარგულებაშია. ახალი ძალებიც საჭიროებისამებრ ჩვენ დროზე მოგვემატება.

გერმანელების გეგმები

გერმანულ გაზეთების სამხედრო მიმომხილველები ირწმუნებიან, რომ კაიზერმა და ჰინდენბურგმა გადასწყვიტეს რათაც უნდა დაუჯდეთ ზღვიდან და ხმელეთიდან სასტიკად შეუტიონ ინგლისს.

საზღვაო შტაბმა უბრძანა ფლოტსა და სუბმარინებს რომ მზად იყვნენ და ისწრაფულ გადასხან დესანტი ინგლისის ტერიტორიაზე იმ წუთშივე რა წუთშიც ჰინდენბურგი გზას მოუჭრის ინგლისის ლაშქარს სომმასა და ბელგიის სანაპიროების შუა.

ოსმალეთის შემოტევა

აპრილის 5-ს ცნობა.

ზღვის პირის მიმართულებით ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენი ჯავშნიანი მატარებელი ამ ორი დღის წინ ჰოლოკის ხიდის სამხრეთით ლიანდაგიდან გადავარდა. გზა ადგილობრივ მცხოვრებლებს გაუფუჭებიათ. გუშინ მატარებელი ლიანდაგზე შეაყენეს და ნატანებამდის აიყვანეს.

მატარებლის ლიანდაგზე შეყენების დროს ჩვენ მუშებს სროლა აუტეხეს. ჩვენმა ესკვადრონმა მოწინავე რაზმმა ამათ სროლით უპასუხა. მტერს 2 კაცი მოუკლეს. მხედრებმა ხელთ იგდეს რამდენიმე თოფი.

სარიყამიშის მიმართულებით ცვლილება არ მომხდარა.

შატილოვი.

რუსეთი

მოსკოვის აღმასრულებელ კომიტეტის არჩევნები

მოსკოვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის ხელახალ არჩევნების დროს ბოლშევიკებმა მიიღეს 414 ხმა, მემარცხენე ესერებმა 44, სოციალ-დემოკრატ ინტერნაციონალისტებმა 20, მენშევიკების და მემარჯვენე ესერების შეერთებულმა სიამ 119. აღმასრულებელ კომიტეტში არჩეულია 48 ბოლშევიკი, 18 მენშევიკი და მემარჯვენე ესერი, 3 სოციალ დემოკრატი ინტერნაციონალისტი და 7 მემარცხენე ესერი.

მეცნიერულ ნაშრომთა მონოპოლიზაცია

მოკლე ხანში სახალხო განათლების კომისარიატი გამოსცემს მეცნიერულ ნაშრომთა იმ ავტორების სიას, რომელთა ნაწარმოებზედაც მონოპოლია ცხადდება. პირველ რიგში მონოპოლია გამოცხადდება კარლ-მარქსის, კაუცკის, ენგელსის და ისტორიკოს კლიუჩევსკის თხზულებებზე.

როსტოვში

როსტოვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა შემდეგი დადგენილება: 1) აკრძალულია ყოველივე აგიტაცია როგორც წერილობითი ისე ზეპირი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტის წინააღმდეგ მიმართული. 2) კონტრ-რევოლუციონერია და კანონგარეშე გამოცხადდება ყველა ის, ვინც იარაღით ხელში გამოვა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტის წინააღმდეგ. 3) როსტოვსა და დონის ნახიჩევანში მდგარი ჯარის ნაწილები უნდა დაემორჩილონ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. 4) გაჩხრეკა, დატუსაღება, რეკვიზიცია და კონფისკაცია უნდა ხდებოდეს აღმასრულებელ კომიტეტისგან რწმუნებულ პირთა და დაწესებულებათა ორდერებით. 5) კონტრ-რევოლუციონერები არიან და უნდა დახვრიტონ ისინი ვისაც ასეთი ორდერები არ ექნებათ.

უკრაინაში

უკრაინა და გერმანეთი

კიევში დაარსდა გერმანეთ-უკრაინის საზოგადოება, რომლის მიზანია გერმანეთის და უკრაინის ეკონომიური დაახლოვება. მალე კიევში გაიხსნება გერმანულ პრესის ბიურო.

ბულგარეთის ელჩი

კიევში ბულგარეთის ელჩად დაინიშნა შიშმანოვი.

უცხოეთი

პარიზს ესვრიან.

პარიზს გერმანელთა ჰაეროპლანები თავს დაესხნენ. უკანასკნელი 200 კაცი მოჰკლეს. დღითი დღე ასეთი თავდასხმა ძლიერდება. გერმანელთა მიზანია საზოგადო პანიკის შექმნა და ჯარების წესიერი გზავნის შეჩერება, ამის გამო პარიზს თანდათანობით სამხედრო ელფერი ედება. აგებენ მრავალ უვნებელ თავშესაფარებს, დამდამობით მთელი ქალაქი წყვდიადშია გახვეული. ძვირფასი და ისტორიული შენობები სილით გავსილი ტომრებითაა დაფარული. ძვირფასი საუნჯე სხვა ქალაქებშია გადატანილი. აგრეთვე წაღებულია ძეგლები, სტატუები და სხვა. თეატრებში სარდაფებია დამზადებული ყოველ შემთხვევისათვის. წარმოდგენები 5 საათზე იწყობა. კინემატოგრაფები დახურულია. საარტილერიო პოსტები მთელს პარიზს შემოარტყეს გარშემო. ყოველისფერი ჰმოწმობს, რომ მდგომარეობა ფრიად სერიოზულია, გერმანელთა შეტევის მოლოდინში...

კლემანსოს აზრი გერმანელთა შესახებ

პარიზიდან კოპენჰაგენის გაზეთებს მოუვიდათ ცნობა, კლემანსო ფრონტიდან დაბრუნდა და სახლეულში ამბები მოიტანა. მისი აზრით ფრონტის მდგომარეობა საკმაოდ გამოკვეთებულია, თუმცა, უთქვამს მას,—მაინც საშიშროება სავსებით არ გაქრულა, ვინაიდან მოსალოდნელია ახალ-ახალი იერიშები, რა წამს გერმანელები საკმარ ძალღონეს მოიკრებენ, რომ ფრონტის ვრცლად გარღვევას შეეცადონ.

შვეციისა და ფინლიანდიის საზღვრების გახსნა

უკანასკნელი ცნობების მიხედვით შვეციისა და ფინლიანდიის შუა საზღვრები გახსნილა, ასე რომ მიმოსვლა ეხლა დაუბრკოლებლივ შეიძლება.

რადიო-ბიულეტენი

აპრილის 5.

ხატამბოლი. აპრილის 17 (ხ. სტ.) ოსმანეთის რადიო-სადგურიდან. **კავკასიის ფრონტი.** ჩვენი ჯარი ყარსს უახლოვდება. შავი ზღვის ნაპირზე ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა დაიპყრო ქალაქი ტის ბუჭმუტი (?). მოწინააღმდეგის დევნას განვაგრძობთ. ბათუმის ციხის აღებისას, როგორც გამოირკვა, ტყვედ წამოვიყვანეთ 600 ოფიცერი და 2500 ჯარის კაცი [illegible], მათ შორის ციხის კომენდანტი; ხელთ ვიგდეთ 150 ზარბაზანი სხვა და სხვა ყალიბისა, ორთქლმავლები, ვაგონები, სატელეგრაფო მასალა და დიდი ძალი სურსათი.

ბერლინი. აპრილის 17 ნ ვენის რადიო-სადგურიდან. **დასავლეთის ფრონტი.** ფლანდრიის შარშანდელ ბრძოლის დროს გაპოხიერებულ ბრძოლის ველზე გენ. არმინის ლაშქარმა დაიპყრო პასშენდელე და თავის პოზიციები მეუფლდის და ბეკელარეს წასწია წინ. ლისის ჩრდილოეთით გენ. სიქსტის ჯარმა დილა ადრიანად იერიშით აიღო სოფ. ვიტ-შატეზე და მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა სოფ. ლის ჩრდილო-აღმოსავლეთით და დასავლეთით მაღლობებიდან მტერი განდევნა და მტრის ძლიერი კონტრ-იერიშები მოიგერია. ფლეფერის სამხრეთ აღმოსავლეთით მოწინააღმდეგე სცდილობს ბრძოლაში არ ჩაერიოს და ჩქარებით ლიანდაგებზე უკან იხევს, ჩვენ ავიღეთ ბაზატერი და მნიშვნელოვანი პუნქტი კაპელანდე. ფრანგების დახმარებით ინგლისელები უქმად სცდილობდნენ მეტრენტის და მეტრენის ორივე მხარეზე დაკარგულ ადგილების აღებას. მათი იერიშები მოვიგერიეთ და დიდად დავაზარალეთ მტ. სომმის ორივე მხარეზე აწარმოებდა საარტილერიო ბრძოლა, რომელიც მთელი დღე გრძელდებოდა, განსაკუთრებით მდ. სომმის სამხრეთით.

მაკედონიის ფრონტი. ბულგარელებმა ბრძოლის დროს დაატყვევეს 155 ინგლისელი და 1 ბერძენი.

იტალიის ფრონტი. რამდენიმე ადგილას აღმოვაჩინეთ მტრის მზვერავი რაზმები.

ბერლინი. აპრილის 17. საღამ. ოფიციალი. ფლანდრიაში შარშანდელ ბრძოლების ადგილას ჩვენ დავიპყარით პასშენდელე და ლანგემარკი.

ხატამბოლი. აპრილის 17. ოსმანეთის რადიო-სადგურიდან. ფრანგულად. სევასტოპოლისთვის. აპრილის 16-ის რადიოგრამა. რუსეთის ფლოტის ცენტრალ კომიტეტს თავმჯდომარეს. გთხოვთ რუსეთის ყველა სამხედრო გემებს, ბრძანება გასცეთ, არ გამოვიდნენ იმ სადგურებიდან, რომლებშიაც ეს გემები ამ ჟამად იმყოფებიან და თავი შეიკავონ ყოველგვარ მტრულ გამოსვლებზე ცენტრალ სახელმწიფოების წინააღმდეგ. გთხოვთ შეატყობინოთ, რომელი საზღვაო დროშა უნდა ჰქონდეთ შავი ზღვის რუსულ ფლოტის გემებს, იმ გემებს, რომელიც ჩვენმა წყალ-ქვეშამ მოიყვანა, არა ჰქონდა, არც ერთნაირი დროშა და ამ გემმა პირველმა აუშვა სროლა ჩვენს წყალქვეშას. მივაქცევთ ყურადღებას იმ ფაქტს, რომ ოსმალეთის და ჩვენ მოკავშირეთა გემების მოძრაობა არაფრით არ უნდა იყოს შეზღუდული. ოსმალეთის და გერმანიის შავი ზღვის ფლოტის მთავარ-სარდალი.

ვაშინგტონი. აპრილის 17. ინგლისური რადიო. ინგლისური ოფიციალ. დასავლეთის ფრონტზე გერმანელთა ზარალი 1.500,000 კაცს უდრის. მოკავშირეთა მფრინავებმა შვეიცარიის საზღვრებთან გზას დაურღვიეს მტრის 2 საფრენი და გერმანელთა ახალ კონსტრუქციის უზარმაზარი ჰაეროპლანების მთელი ესკადრა. ცეცხლი და ბოლი შვეიცარიიდან გარკვევით მოსჩანდა. ამ ბრძოლაში მოკლულ იქნა 100 მფრინავი და 200 დაჭრილი. ფიქრობენ, რომ ცენტრალ სახელმწიფოებმა 1.500,000 კაცი შესწირეს სრულ გამარჯვების მოსაპოვებლად. ეხლა მოკავშირეებს ძლიერ მტკიცე პოზიციები უჭირავთ ფრონტზე და მტერს წარმოუდგენელ დიდ ზარალს აყენებენ. 3 უკანასკნელ დღის განმავლობაში მტერმა ვერც ერთ ალაგას ვერ გაიმარჯვა. ინგლისელთა ფრონტი ეხლა ყოველ ზიფათის გარეშეა. პორტუგალიამ გადასწყვიტა ლისაბონის მთელი რესპუბლიკური ჯარი ფრონტზე გაგზავნოს.

—

ამერიკის სენატმა 3 ხმის უმეტესობით გადასწყვიტა ევროპის ფრონტზე 2 ჯერ გაადიდოს ჯარის და საჰაერო ფლოტის რაოდენობა.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.** ფოთიდან იტყობინებიან: ამ ჟამად წესიერად გადის ფოთიდან რუსეთისაკენ სამგზავრო გემები. გთხოვთ რუსეთში წასასვლელი გადმოხვეწილნი გამოგზავნოთ.

◆ **„ჰუმმეტის“ განცხადება.** მაჰმადიანთა სოციალდემოკრატიულმა პარტიამ „ჰუმმეტ“-მა სთხოვა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, რომ ხსენებულ პარტიის სახელით ფრაქციის დაუკითხავად ნუ მოსცემენ იარაღს იმათ, ვინც „ჰუმმეტ“-ის სახელით ითხოვს ამას.

◆ **გადმოხვეწილები და მხედართა კავშირი.** აპრილის 5 საღამოს ქალაქის გამგეობამ ქართულ კლუბის შენობაში დასაბინავებლად გაგზავნა 400-მდე ინტელიგენტი ლტოლვილი. მამასახლისმა საქმოს კლუბი დაუთმო ლტოლვილებს, მაგრამ მხედართა კავშირმა ისინი შიგ არ შეუშვა.

◆ **შიომღვიმელის სალიტერატურო დილა.** ამ ახლო მომავალში გამართულ იქნება სალიტერატურო დილა შიო მღვიმელის სასარგებლოდ. დილა საგანგებოდ ბავშვებისათვის იქნება მოწყობილი. სხვათა შორის წარმოდგენილი იქნება „ოქროს თავთავი“, მუსიკით, ცოცხალი სურათებით.

◆ **გურიის თავდაცვის დამხმარე** კომიტეტი აცნობებს საზოგადოების წევრებს, რომ კომიტეტის ბინა დროებით მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის სადგომში, გოლოვინის პროსპექტი, № 12. კომიტეტის წევრები ყოველ დღე მორიგეობენ საღამოობით ოთხიდან შვიდ საათამდე. კომიტეტის სამხედრო სექცია თხოვს ყველა მსურველს გამოცხადდეს დანიშნულ დროს რაზმში ჩასაწერათ. რაზმში ურეკომენდაციოთ არავინ არ იქნება მიღებული. ამიტომ საჭიროა რომელიმე ორგანიზაციის ან სამი სანდო პირის მოწმობა.

◆ **მკვლელობის განახლება ქართლში.** ქართლში მკვლელობამ და ხულიგანობამ კიდევ იჩინა თავი. ამ დღეებში სოფ. ახრისში მოჰკლეს მემამულენი რევაზ ყანჩელი 65 წლისა, ირაკლი ყანჩელი 16 წლისა და დაჭრეს სოფრომ ყანჩელი. როგორც გადმოგვცეს, მკვლელები შეიპყრეს.

◆ **ინციდენტი.** აპრილის 5-ს ცალკე ბატალიონის პრაპ. ხმალაძემ, რომელსაც ის საკომენდანტოს ყარაულის უფროსად იყო ნებადაურთველად ქუჩაში გამოუშვა დაპატიმრებულნი შტაბროტმისტრი ფირცხალაიშვილი, პორუჩიკი რატიანი და მალაცეული კაკაბაძე. როდესაც ამაზე ლაპარაკი მოუხდა ხმალაძეს გარნიზონის უფროსთან ვერიჩაკთან, ლაპარაკის დროს ხმალაძე მედიდურად იქცეოდა. ამ დროს მოვიდნენ ხმალაძის მიერ გამოშვებული ფირცხალაიშვილი, რატიშვილი და კაკაბაძე ეცნენ ვერიჩაკს, მისი იარაღი აყარეს და მოკვლა განიზრახეს. ხმალაძემ ამის წინააღმდეგ არავითარი ზომები არ მიიღო. სამივენი დაატუსაღეს და ციხეში გაგზავნეს.

◆ **ბინტების დამზადება.** კავკასიის წითელ ჯვარის საქალთო საწყობი მოუწოდებს ყველას დაეხმარონ ბინტების და ბამბების დასამზადებლად ფრონტზე გასაგზავნად. მუშაობა ადვილია, ბავშვებსაც შეუძლიათ. იქვე მიიღება ფრონტზე გასაგზავნი შეწირულება (კოლოდევის ქუჩ. № 8).

◆ **თავდაცვის შტაბის** განკარგულებით შეიპყრეს ჯარის კაცი ბეჯაშვილი, რომელმაც დაიჭირა თავისივე პოლკის ჯარის კაცი. შეიპყრეს ჯარის კაცები, ალ. კარსანოვი და ჯაფარიშვილი სახაზინო ვინტოვკების მითვისებისთვის. დაატუსაღეს და 3 თვით ციხე მიუსაჯეს რ. კონონელს, რომ-

მელიც სამხედრო ბეგრის მოხდას გაურბოდა.

◆ **ძარცვა.** 5 აპრილს ღამე ელისაბედის და კიროჩნი ქუჩის კუთხეში ვიღაც ბოროტმოქმედებმა გაძარცვეს მოქალაქე ვ. ტრუბენკოვი. ფულით წაართვეს 999 მან. საპაპიროსე ღირებული 300 მან.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს „სახალხო უნივერსიტეტის დღეა". უნივერსიტეტის სასარგებლოდ შეაგროვებენ შემოწირულებას. სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა სახელით საორგანიზაციო კომიტეტი სთხოვს თბილისის ყველა მოქალაქეებს, დაეხმარონ განათლების საქმეს და არ დაიშურონ თავიანთი წვლილი. დღესვე საგანგებოდ გამოიცემა გაზეთი: „სახალხო უნივერსიტეტი". გაზეთში დაწვრილებით იქნება დახასიათებული სახალხო უნივერსიტეტების მნიშვნელობა, აწერილი იქნება მათი მდგომარეობა ევროპაში და რუსეთში და მოთავსებული იქნება ანგარიში თბილისის სახალხო უნივერსიტეტის მოქმედების შესახებ.

◆ **მილიციონერთა შორის.** მესამე კომისარიატში შესდგა 4 აპრილს სამილიციო დელეგატთა კრება. ლაპარაკი იყო ჯამაგირების შესახებ. გამოირკვა, რომ 3 თვეა მილიციონერებს ჯამაგირი არ მიუღიათ. რის გამო გაჭირვებაში არიან ჩავარდნილნი. კრებამ აირჩია დელეგაცია და დაავალა იშუამდგომლოს ქალაქის გამგეობის წინაშე 7 აპრილამდე დაურიგდეს ჯამაგირები მათ, წინააღმდეგ შემთხვევაში დატოვებენ სამსახურს და ყველანი ფრონტზე გაემგზავრებიან, ამბობენ მილიციონერები. ამავე დელეგაციას დაავალა,— უკეთუ მოთხოვნილება ქალაქის გამგეობის მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული, მოიწვიოს კრება მილიციონერებისა საგანგებო რაზმის შესადგენად, რომელიც ფრონტზე წავა.

◆ **რედაქციამ მიიღო „ნაკადული",** მცირე წლოვანთათვის. ნომერი ფრიად საინტერესოდაა შედგენილი: სხვათა შორის მოთავსებულია ირ. ევდოშვილის ჯერ დაუბეჭდავი მოთხრობა ნაძვი „ლამაზო".

◆ **დარი თბილისში.** ამ უკანასკნელ დროს თბილისში უამინდობაა.

◆ **კოოპერატივ „დახმარების"** წევრთა საგანგებო კრება გაიმართა ოთხშაბათს, აპრილის 4-ს, საღამოს 6 საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში ა. სვიმონიშვილის თავმჯდომარეობით. კრებამ გადასწყვიტა „დახმარების" შეერთება კოოპერატივ „ივერიასთან", რომელიც ამ დღეებში იხსნება ერევნის მოედანზე, ყოფილ ძმ. ფორაქიშვილების მაღაზიაში. უკანასკნელს მაღაზიაში გაიხსნება მთავარი მაღაზია, განყოფილება-კი დარჩება ძველს „დახმარების" დუქანში (ოლღას ქუჩაზე). წევრთა საერთო კრების მოწვევამდე შეერთებულ კოოპერატივის საქმეებს აწარმოებს ორთავე კოოპერატივის გამგეობა. „ივერიის" მხრივ არჩეულნი არიან ალ. გრ. ზაკაიძე, სილ. გიგიბერია და შერმარიაშვილი. თვითეულმა წევრმა უნდა გადაიხადოს 5 მანეთი საწევრო გადასახადი და 50 მანეთი პაის ფული. ამ 55 მანეთში ჩაითვლება დღემდე გადახდილი საწევრო და საპაიო გადასახადი.

◆ **ეროვნ. დემ. სტუდენტთა კრება.** კვირას, აპრილის 8-ს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია ერ.-დემ. სტუდენტების კრება. ყველა ამხანაგების დასწრება ძალიან საჭიროა.

◆ **ქართველ მოხელეთა კრება.** კვირას, 8 აპრილს ქართულ კლუბის შენობაში დილის 11 საათზედ, შესდგება სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ქართველ მოსამსახურეთა მეორე კრება.

დღიურ წესრიგში: არჩევნები, წესდების დამტკიცება და დაწესებულებათა გაერთიანება.

◆ **განყოფილების გახსნა.** მომხმარებელ საზოგ. „ალიონი ძმებმა" თავის განყოფილება გახსნა ყრუთობის უბანში (ხადიროვკა), სადაც ვაჭრობა უკვე სწარმოებს.

◆ **ქართული კლუბი.** კვირას, 8 აპრილს დილით, მსახ. ვ. ანდრონიკაშვილი გამართავს წარმოდგენას, წარმოდგენილ იქნება შ. დადიანის პიესა „გუშინდელნი" 3 მოქმ.

◆ **ქართული დრამატიული საზოგადოება.** ჩაეწერა სულ 250 კაცი. გამოსაცდელ წარმოდგენაზე დაუშვებიათ მხოლოდ 180 კაცს. ქალები 60 არიან. 30 ქალს გიმნაზია აქვს გათავებული, 15 ქალი უმაღლეს კურსებზე არიან, 15 მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კლასებიდან არიან გამოსულნი. 120 ვაჟია, აქედან უნივერსიტეტ გათავებულნი არიან 10, 35 კი სტუდენტია, ზოგი მეორე, ზოგი მესამე და მეტი წილი მეოთხე კურსისა. 60 კაცს საშუალო სასწავლებელი აქვთ გათავებული, ბევრი ამათგანი დღეს სამხედრო სამსახურში არიან: კაპიტანი, პრაპორჩიკები და სხვა.

კიდევ ველით ბ. ვ. შალიკაშვილს ქუთაისიდან, სადაც იგი გაგზავნილი იყო საგანგებოდ ამ საქმისთვის. გამოსაცდელი წარმოდგენა ამ დღეებში გაიმართება.

◆ **თბილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა** [illegible]. კომიტეტი უკანასკნელად მოაგონებს ბ. ბ. ვაჭართ-მრეწველთ, რომელთაც მიიღეს, საქართველოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ, ერთ დროული გადასახადის უწყებანი, დაუყოვნებლივ შემოიტანონ მათზე გაწერილი ფული. ხოლო ვისაც რაიმე მიზეზის გამო უწყება არ ჩაბარებიათ ვალდებულნი არიან ინახულონ ამ კომიტეტის მდივანთან (მიხეილის პრ. № 5 ა. ბეროშვილის ღვინის საწყობი) დილის 10—12 საათ. ფული ყოველ ქართველ ვაჭარზე გაწერილი და უწყების მიუღებლობა ვერ იხსნის მათ მოსალოდნელ პასუხის გებისაგან. ვინც ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან ამის გამოცხადებისა, არ შემოიტანს ფულს, მათი სახელი და გვარი გაზეთებში გამოცხადდება და მათ წინააღმდეგ იქნება მიღებული შესაფერი ზომები.

◆ **დღეს,** საღამოს 5 ს. დანიშნულია თბ. ქართველ ქალთა სანიტარული რაზმის საზოგადო კრება. თბილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე (გოლოვინის პროსპ. № 10).

◆ **შეკვეთით საქმის მოხელეთა კრება.** კვირას, 8 აპრილს, სახალხო უნივერსიტეტის დარბაზში (მიხეილის ქუჩა) დანიშნულია შეკვეთით საქმის პროფესიონალურ კავშირის საზოგადო კრება, ფრიად საჭირო საკითხების გამო.

პარტიული ცხოვრება

◆ **თბილისის ერ.-დემ. პარტიის** მეორე უბნის კომიტეტის კრება დანიშნულია კვირას, აპრილის 8-ს, დილის 11 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში. დასწრება აუცილებლივ სავალდებულოა.

არმავირის ბოლშევიკების სიმხეცე

ჩვენს რედაქციას ეწვია ინჟენერ ტეხნოლოგი კონსტანტინე ათანასეს ძე ბუდაკოვი. იგი მოწმე გახლდათ იმ სიმხეცის, რომელიც ჩაიდინეს ბოლშევიკებმა არმავირში. ბუდაკოვი გამოჰყოლია პეტროგრადიდან წამოსულ ქართველების ჯგუფს. როსტოვამდის მათ მშვიდობიანად უმგზავრნიათ. სადგურ ტიხორეცკაიაზე ბოლშევიკ ჯარის კაცებს დაუწყვიათ მატარებლის ჩხრეკა. სანიტარულ ვაგონში აღმოუჩენიათ რამდენიმე თოფი და 5 რევოლვერი. სხვათა შორის გაჩხრეკილ ბრძოლის ბარგის ჩხრეკის დროს აღმოუჩენია შევერცხლილი ხანჯალი, რომელიც თვით ბოლშევიკების კომისარს წაუღია, ერთ მგზავრთაგანს მათთვის ვერცხლის დაზები უჩუქებია. ზოგისთვის ფული გამოურთმევიათ და [illegible] გადაუწყვეტიათ მათი უვნებლად გამომგზავრება. სადგურ კავკასკაიაზე მათი მატარებელი მიუბიათ ბოლშევიკების სამხედრო მატაბელზე. ასე ჩამოსულან არმავირამდის. სხვათა შორის სადგურ ტიხორეცკაიაზე მათ დაუწევიათ პეტროგრადიდან წამოსული ივერიელთა პოლკი, რომლიდანაც დახვრიტეს 15-მდე ქართველი. ივერიელთა პოლკი ტუაპსესკენ გამოეგზავნათ. ტუაპსეში პოლკი გაუსინჯავთ, აღმოუჩენიათ იარაღი და არმავირისკენ გამოებრუნებინათ. ივერიელთა პოლკთან ყოფილან სხვათა შორის სპირიდონ კედია. არმავირში ორი ჯგუფი საბჭოში აეყვანათ. საბჭოს საქმე გამომძიებელ კომისიისათვის გადაეცა. მაგრამ გამხეცებული ჯარის კაცებს არც გამომძიებელ კომისიისთვის მოუცდიათ ივერიის პოლკიდან გაეყვანათ 39 კაცი ასე დილის 12 საათისთვის ამოეთხრევინებინათ დიდი ორმო და შემდეგ ორმოს პირას ორ ტყვიის მფრქვეველით დაეხვრიტნათ. დახვრეტილებში ქართველი 15-დე ყოფილა. ერთის დედა მიეყვანათ და ეყურებინათ შვილის უბედურებისთვის. შემდეგ ზოგიერთი ცოცხალ-მკვდარი ხმლებით აეკუწნიათ, გადაესხათ მაზუთი და დაეწვათ. დიმიტრი ქიაბრიშვილი, სპირიდონ კედია და რამდენიმე სხვა ქართველი ქართველთა კომიტეტს მარანში დაემალნა. მშვიდობით გადარჩენილები ორ ჯგუფად გაყოფილან ერთი კავკასიკაში წამოსულა მეორე ტუაფსისკენ.

ბუდაკოვი ტუაფსისკენ წამოსულ ჯგუფს გამოჰყოლია. ტუაფსეში ადგილობრივ კომიტეტში გაურჩევნიათ საკითხი იმის შესახებ გამოეგზავნათ კავკასიის სურსათი თუ არა. მომხრე ყოფილა ქართველი ბოლშევიკი ბოცვაძე წინააღმდეგი სოხუმი ოკრომიანც. კომიტეტს მაინც დაუდგენია პურის მოწევა. ასრულებენ თუ არა ჯერ საკითხია.

ანარქია ამიერკავკასიაში

ბორჯომი. აპრილის 5. გუბ. არჯევანიძე. აბასთუმანის სანატორიუმი მთელი ქონებით ბორჯომში გადმოიტანეს. აბასთუმანში დარჩა მხოლოდ სასახლის ქონება. მდგომარეობა საშიშია. საჭიროა კომისარის გამოგზავნა.

სამტრედია. აპრილის 4. აგენტი ბურჭულაძე. გზათა მიმოსვლის მინისტრს. ქართულ კორპუსის უფროსის განკარგულებით, სამტრედიისა და თბილისს შუა 1 მატარებელი დაინიშნა.

ყარაბურუნი. აპრილის 4. დამცველ რაზმის უფროსი გევორქიანცი. გუშინ ბოროტმოქმედნი თავს დაესხნენ და დახოცეს მუშები, რომლებიც ყარაბურუნსა და არაქს შუა გზას აკეთებდნენ. ამის გამო მუშები სამუშაოდ არ მოდიან ვიდრე დამცველი რაზმი არ იქნება გადიდებული. მთებში ქურდები იყრიან თავს.

ბორჯომი. აპრილის 4. გუბ. არჯევანიძე.—მთავრობას. ახალქალაქიდან მაზრის კომისარი მატყობინებს, რომ იქ და ახლო-მახლო ძარცვა-გლეჯაა. ბოტკანში ოსმალთა რეგულიარული ბატალიონი შევიდა. ძარცვა-გლეჯის მოსასპობად ხელი უნდა გაიდეს სეიმის დელეგაცია.

ქუთაისი. აპრილის 4. ქუთაისის გუბ. კომისარი კახაშვილი. მთავრობას. მოგახსენებთ, რომ აფხაზეთ სა-

ფშაური ლექსები

პირველი.

ლაპარაკია, ჩაჩნელი
ქართველთა მიწა-წყალზედა,
ერთურთზედ ამბობდნენ,
მთას გულს უცვლიდნენ ბარზედ,
ბარიც მთას დაემუქრება,
ხელს იღებს ხანჯლის ტარზედა
თუ ძმებმა სისხლი უმანკო
დაღვარეს თავის კარზედა,
დაადგებენ ყორნებსა
დაეშვილებსა მკვდარზედა.
ძნელია, მეტად ძნელია,
ხანჯლის ხმარება ძმაზედა,
ან საფლავს ვინძა გაუთხრის,
ვინ მოვა სატირალზედა?

მეორე.

სოფლის უფროსი ჩიოდა:
ხალხია გადარეული,
ყველა თოფ-წამალს ამზადებს,
გაჭირვებულდა სნეული,
არცვის ხვნა-თესვა აჯავრებს,
არც სახლი ჩამონგრეული,
არც მშიერი ცოლ-შვილი,
ძონძებში გამოხვეული;
ან თუმანს აძლევს თოფშია
ფარაჯა ჩამოხეული,
ბერებიც დაეჯაჯღნენ,
ჭაღარა გამორეულნი,
ან რა გულისობას გაუწევს
ტყვია-ნასროლი წყეული?
თოფი რათ უნდა, ნეტარა,
სისხლის სადვრელი მასალა?
ამდენმა თოფის გრიალმა
ხალხი ჭკუიდან შაშალა,
რაც ტყვიამ ცრემლი ადინა
ჯერ თვალზე არვის შეშრალა,
სიკვდილით მორწყული სამყარო
სველია, ჯერ არ გამშრალა,
ყუმბარა-ტყვიის გრიალმა
წმინდა ჰაერი დაშხამა,
ბევრს ტკბილი წუთი-სოფელი
უდროოდ ამოაშხამა,
ბევრისა დედა ატირდა,
ბევრის ობლები დამრჩალა,
ბევრის სამშობლოს ღრმა აზრი
ვაჟკაცთან ერთად მოკვდარა..

მეცხვარე გახო აფციაური.

დედა

ხუთ მოქმედებიანი პიესა.

(დასასრული. იხ. „საქართველო" № 74.)

მოქმედება V.

(იგივე სიღარიბისათ დარბაზი. ტახტზე, ლოგინში როდამი წევს, მოხუცებულია, სახეზე ავადმყოფობის დაღი აზის. გვერდით ახალგაზრდა, ჯანსაღი 25 წლის ვაჟკაცი მოსჯდომია და სიყვარულით ხელზე ხელს უსვამს).

როდამი. ძლივს არ დავბრუნდით ჩვენს მიწა-წყალზე! (ახალგაზრდას) შვილო კაკო, წყალი მომიტანე! (კაკო წამოდგება, როდამი თვალს ვერ აშორებს) სულ მამა!.. სიკვდილი მიახლოვდება... უნდა გავუმხილო (კაკო წყალს მოუტანს და ასმევს) შვილო კაკო, კარგა იქნება, რომ მღვდელს დაუძახო.

კაკო. [illegible] რა გჭირს დიდედო?

როდამი. რა ვიცი, შვილო, როგორღაც ძალიან მოვუძლურდი. ჯობს, ეხლავე მივიღო წმიდა საიდუმლო. (შუბლს შეიკრავს) რა ცუდმა ფერმა გადაგკრა? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ... სილაჩრე არ გამოიჩინო!

კაკო. (თავს იმაგრებს) ეგ საათში დიდედო, თუმცა... (როდამი მოუთმენლად ხელს გაუქნევს) ეგ საათში! (მიდის).

როდამი. (მარტო) სულ თან დავდევდი ჩემ ბიჭს;— უცხოეთშიაც კი გავყევი. უცხოეთის ჰაერმა მომიცვა... მეშინოდა სწორე გზას არ ასცდენოდა (შიშით) ჩემს უბედურ შვილებს არ დაემგზავსოს-მეთქი (დარბაზის ბნელ კუთხეს აშტერდება, ბენოს აჩრდილს დაინახავს) რა გინდა?.. გამეცა!

ბენოს აჩრდილი. (ხმა მისუსტებული) შვილი როგორ გამომიზარდე?

როდამი. 18 წელიწადია სულ ერთი და იგივეს მეკითხები... რით ვერ გაიგე?.. შენ ჩემი სახლს გვირგვინი მოჰგლიჯე (მიუთითებს [illegible]) ხედავ? ეს სულ შენი საქმეა... ჰერი? უყურე, როგორ დაცხავებულა!.. შენ დედის გრძნობები მიწასთან გაასწორე! შენ არ იყავი რომ ჩემ სათაყვანებელ დედის სახსოვარს პატივი არ ეცი?! შენ არ იყავი რომ გაძარცვე ჩემი წინაპართა-წმიდა ლოცვანი?! წინაპართა ხსოვნის დამგმელი ღირსი არ იყო სიცოცხლისა. შენ ცრუ, მატყუარა იყავი! შენ დღეს უმანკო არსები!.. პელის სიკვდილით სული დამიმძიმე! (გამოჩნდება ლუკას აჩრდილი) შენ რაღას აწუხებ ჯურღმულიდან?

ლუკას აჩრდილი. დედა! [illegible] შეუღლეც?

როდამი. კი არ შეუშლოცე, წამალი ჩავყარე.

ლუკას აჩრდილი. მერე, დედი, სული რომ დამიმძიმე? შვილები მყავდა.

როდამი. შენც მაგას მეუბნები? მერე რა არის რომ შვილები იყავით?.. ქვეყანას ავი სულები მოვაშორე. შენ ან ქვეყანად არსებობა უფრო არ მიმძიმებდა სულსა? ვინ იცის რამდენს ავაცდინე შენი სიკვდილით სიკვდილი! ჩემი მუცლიდან ბოროტება იშვა... ადამიანმა თავის ავს თვითონვე უნდა მოუღოს ბოლო... გამეცით, ნუ მაწუხებთ, გამეცით! მინდა სული მშვიდად დავლიო.

აჩრდილნი. ვა! ვა! ვა!.. მშვიდად უნდა დალიოს სული, მშვიდად!

როდამი (წრიალით) გამეცათ!.. დედა ვიყავი, გშვით და დაგხოცეთ! თქვენ ღირსნი არ იყავით სიცოცხლისა, გაიგეთ?! (დარბაზის კარი იღება და შემოდის კაკო თან მღვდელი შემოჰყავს) გამეცათ! ეჰ თქვენ დაწყევლილებო!

კაკო. დიდედავ ვის უჯავრდები?

როდამი (იღვიძებს) შენა, შვილო? არაფრის... გული მიმძიმდება.

კაკო. მღვდელი მოვიყვანე, დიდედო!

როდამი (მღვდლის დანახვაზე საბანს გადიწევს) მობრძანდით, მოძღვარო, მობრძანდით! ცოდვები ამხსენით. კაკო, გადი გარეთ! (კაკო მიდის)

მღვდელი. მე რა ცოდვები უნდა აგხსნათ, ბატონო? მთელი სოფელი თაყვანსა გცემთ: წმინდა ადამიანიაო.

როდამი (მშვიდად) არა მოძღვარო, არა! ყური დამიგდეთ! ხომ გახსოვთ ჩემი შვილები, ლუკა და ბენო?.. მე მოვწამლე.

მღვდელი (შეკრთება) უბედური დედაკაცი... (განზე).

როდამი. [illegible] მოძღვარო, მერგება თუ არა წმინდა საიდუმლო?

მღვდელი. ზეციერო გაჩენო, როგორ მშვიდად ამბობ!.. განა თუ ინანიებ! (ახვევს კოვზსა და სანაწილეს ბუდეში) შენ ღვთის წინაშე არაიმე სამსახური გაგიწევიაო! (გადის).

როდამი. (მწარედ იღიმება) კაკო, შვილო!

კაკო. (შემოდის) აქა ვარ, დიდედო!.. მღვდელი მალე რათ წავიდა? სახე რათ ჰქონდა გაფითრებული?

როდამი. დაანებე თავი მღვდელს, მოდი ჩემთან... (კაკო გვერდით მიუჯდება) ლაჩარი ხალხის საქმე ასეა... შვილო სიკვდილი მომიახლოვდა... ფეხები გამიცივდა... მომიტა ჩემი ლოცვანი, იმასთან ჯვარიც არის (კაკო მივა სახატესთან, ჩამოიღებს ლოცვანსა, ჯვარსა და მოუტანს. როდამი ლოცვანსა და ჯვარს მკერდზე დაიწყობს) შვილო კაკო, შენ გეტყვი აღსარებას და შენ გამსაჯე.

კაკო. (გაკვირვებული) მე, დიდედო?

როდამი. სწორედ შენ (აღელვებული თან თვალებში უცქერის, თან ეუბნება) შენი ბიძები, ლუკა და ბენო მე გამოვასალმე წუთი სოფელსა (კაკოს ფერი ეცვლება. როდამი შუბლს შეიკრავს და მკაცრის კილოთი ეუბნება) ლაჩარო!

კაკო. (ნაწყენი, ამაყად) არა, დიდედო, შენი შვილი-შვილი ლაჩარი არ იქნება!.. მიკვირს რათაც ჩაგიდენია ეს ძნელი საქმე... (აღელვებული) ვერც გამკიცხავ, მაგრამ ადამიანის გული ვერ შეეჩვევა აგეთ თავგამოდებას... გამბედაობას... ჩემი გონება გეთანხმება, გული კი ძრწის...

როდამი. (მკაცრად) მაშ ამოიგლიჯე ეგ გული, თუ კი არ ემორჩილება!.. რათ გინდა ის გული, რომელიც ქვეყნის მტერს შეიბრალებს? იქნებ გგონია, ჩემი გულისათვის გრძნობები უცხო ხილი იყო?.. არა, ჩემი საქციელი ჩემმა უძლიერესმა გრძნობამ გამოიწვია!.. ჩემმა ქვეყნის სიყვარულმა გამოიწვია!.. არა, უნდა ამოიგლიჯო ურჩი გული!

კაკო. (მოკრძალებით) არა დიდედო, კი არ ამოვიგლიჯავ, შევაჩვევ... დავიმორჩილებ!

როდამი. (გახარებული) მაშ მომეხელი, მოდი, რომ უკანასკნელი ჩემი სურვილი და მშვიდობა გითხრა (ხელს დაუჰკრავს კაკოს). ბედი გაბედნიერებულია, შვილო!

კაკო. დიდედო, აი ჩემი მარჯვენა!.. ხელში რომ გიჭირავს.

როდამი. სახლს ჭერი გაუკეთე, შვილო, გვირგვინი დაადგი, მღვდნი ფეხზე წამოაყენე! ესენი (უჩვენებს ლოცვანსა და ჯვარზე) და ჩემი კარიბადინი არ მოიშორო... არ მოიშორო!

კაკო. (აღელვებული) შენს ლოცვანს, დიდედო, თვალებს დავუწუნებ, [illegible]!

როდამი. (მხნეობით) ფიცს თუ გასტეხავ, ჩემი სული გიწყევა, სისხლის აგიხედლებს (ჰკოცნის და აღელვებული ამბობს) აშვიდობით!.. გულთან სიცივეს ვგრძნობ (ჯვარს ხელს წამოავლებს და მოიწივებს ამბობს) ჯვარო პატრონსები, შენ იქნები შენ შეუცვლელი (დარბაზის ერთი ბნელ კუთხეში ამოცურდებიან ბენოს და ლუკას აჩრდილნი) კიდევ მოხვედით, კიდევ!.. (ჯვარს ასწევს მაღლა) ჯვარო პატრონსანი! (აჩრდილები ჰქრებიან, როდამს სახე გაუფერმკრთალდება, ჯვარს ემხობა და ბალიშზე გადავარდება).

კაკო. დიდედო, დიდედო!.. დიდედო... გაიღვიძე... (აქვითინდება) დიდედო!.. (გამწარებული) დიდედა ხმას აღარ მცემს, აღარ!.. დიდედო!.. (წყნარდება. თვალებს დახუჭავს და ბუწლებზე ჰკოცნის) დიდედო, შენს ანდერძს არ დავივიწყებ!.. (აღგზნებული) გული გამაგრდი, გული, თუ დავივიწყო! (ხელზე ჰკოცნის).

(ფარდა)

1916 წ. ან—ბანი.

ხალხთ საბჭოს სამხედრო სექციის წევრმა შერვაშიძემ მაცნობა, რომ სოხუმში ბოლშევიკებს დაუპატიმრებიათ ქალაქის თავი ჩხიკვიშვილი, გამგეობის 2 წევრი და რამდენიმე ვაჭარი.

ერევანი. აპრილის 4. პოლკ. ზამარაცკი. მთავრობას. მარტის 23 შუადღის 3 საყომარლიუდან გამოვედი, საღამოთი ჯავშნიან და დამხმარე მატარებლით შახტახტს მივაღწიე. არარატ-არაზდაიანის შუა 5 ხიდი აღვადგინე: არაზდაიან-ნორაშენის შუა—18 ხიდი; ნორაშენ-შახტახტის შუა—4 ხიდი. მარტის 30 შახტახტიდან ნახჩევანში მივედი. გზები აღვადგინე. შემდეგ სომეხ-თათართა ელჩისა და ბაქოელ ხანის წინამძღოლობის გამო ნახიჩევანთან მუშაობა შევწყვიტე. აპრილის 3 ყომარლუში უვნებლად მოვიდა ინჟ. ვასილიევის მატარებელი. ვასილიევს მივეცი იარაღი და მასალა ჯულფაზე წასასვლელად.

ულუხანლუ. აპრილის 4. პოლკ. სვიშჩევსკი. მთავრობას. ჯავშნიანი მატარებელი მარტის 28 შახტახტში უვნებლად მოვიდა. დღეს იქვე მივიდნენ ინჟ. მარკოვი და მამედ მირზოევი, მაჰმადიანთა დელეგატები და დღესვე გავიდნენ აქედან. ყამარლიუში უვნებლად ჩავიდნენ. იმედია, რომ აპრილის 5 თბილისში ვიქნებით.

რკინის გზის უფროსის განკარგულება. ინჟ. ლიბინი. არა ჩვეულებრივი ამბების გამო ბილეთები უნდა გაიყიდოს და ტვირთი უნდა მიიღონ სად. ნატანებამდე.

ბაქოში

ზარბაზნებმა თავის კვალი დააჩნიეს. დიდხანს ექნება გაუმთელებელი ჭრილობები საუცხოვო თაზა-ფირის მეჩეთს. დიდი დრო დასჭირდება, რომ მთელმა ზღვისპირის ქუჩამ თავისი ძველი სახე მიიღოს. ამ ქუჩაზე დასახიჩრებული შენობები მწუხარებით გამოიყურებიან. ყველაზე მეტად დასახიჩრებულია გაჯინსკის სახლი. მას ოთხი თუ ხუთი ზარბაზნის ტყვია აქვს მოხვედრილი. ყველგან დასახიჩრებული, დაკრუნჩხული დამწვარი ქალების კაცების და ბავშვების გვამებია ალაგ-ალაგ გვამების მთელი ხროვა...

ქუჩებში მრავალი ხალხი დადის. ათვალიერებენ „სამოქალაქო ომი“-ს შედეგებს. ბევრი ხალხი იკრიბება მთლად დამწვარ სასურსათო ბაზარზე, „კასპი“-ს ყოფილ სტამბასთან, მთლად დამწვარ „ისლამიე“-სთან. ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი წესზეა, მაგრამ საკმაოა ნახევრად დანგრეულ კედლის ჩამოშლა, ხის ჩამოვარდნა ხმამაღლა დაყვირება, რომ ქუჩაში მყოფნი თავზარდაცემულები გაიქცნენ, აირივნენ ერთი-ერთმანეთში, შეიკრან კარებებში. თაზა-ფირის დაზიანებული კედლები დიდ აღშფოთებას იწვევს ხალხში. მათ აღშფოთებს თავიანთ წმიდათა წმიდის შეურაცხყოფა.

ჩრდილო კავკასიაში

მიმოსვლის შეწყვეტა.

სადგ. „პროხლადნაია“-დან მარტის 28-ის თარიღით იუწყებიან: სად. პროხლადნაიასა და კავკასკაიას შორის ნავთის უქონლობისა გამო რკინის გზით მიმოსვლა შეწყვეტილია. შეწყვიტეთ ბარგისა და ტვირთის მიღება და აგრეთვე ბილეთების გაყიდვა.

ცარიცინის მიმართულებით.

ცარიცინის მიმართულებით მოძრაობა შეწყვეტილია. ბილეთები არ იყიდება.

ქართველი მაჰმადიანი ფაშები

ამ წერილს ჩვენ არც შესავალს ვუკეთებთ, არც წინასიტყვაობას ვწერთ, პირდაპირ საგნების ანუსხვით დავიწყებთ და ფაქტებითვე დავამტკიცებთ ამ აღწერილ ფაშების ქადაგებათა და დატოვებულ მცნებათა დაფასება მკითხველისთვის მიგვინდვია და ნამეტურ ქართველ მაჰმადიანებს და აჭარლებს, რომელნიც ეხლა თავ-თავიანთ სამშობლო საქართველოს დასაღუპავად ემზადებიან.

მათი ვალი უმთავრესათ, რომ ამ ცნობებს დააკვირდნენ და გაიხსენონ თვის მამა-პაპათა მცნება, იმ მამა-პაპათა მცნება, რომელნიც სჯულით მუსულმანები იყვნენ, ტომით, ქვეყნით, სისხლით და ენით კი ქართველები და საქართველოს შვილები.

დავიწყებთ ჩვენს მოძმე ქართველ მაჰმადიანთ ფაშებისა და მათი ცხოვრების ანუსხვას.

სეით-ფაშა გოგიტიძე. ისლამთან დაკავშირების შემდეგ, ეს იყო ყარსის ფაშათ, იქიდან აჭარაში გადასახლდა და სოფ. ვაიოში დასახლდა. აქ, ამ სოფელში ვაიოლამ დაიწყო მოქმედება აჭარის სასარგებლოთ და ეს ოსმალეთის წინაშე დიდის სიფრთხილით იცავდა სამცხე-საათაბაგოს ავტონომიურ წესებს. ეს სეიდ-ფაშა იყო თითქმის ვალი-ფაშა აჭარისა. ამ კაცმა აჭარლებს ფიცი ჩამოართვა ერთგულებაზედ, ამიტომ მათ მაგრა დაუდგნენ ოსმალებს და ამ სიმაგრის წყალობით ოსმალთ კარგახნის განმავლობაში არ მისცეს ნიზამი, ანუ ჯარის კაცნი, კანონები და სხვაც ასეთნი ჰქონდათ ათაბაგურათ. ბათუმი და მთელი სამუსულმანო საქართველოც ოსმალთაგან იყო დამოუკიდებელი და თავისუფალი. სეიდ-ფაშა გოგიტიძის ცხოვრება ეკუთვნის 1680 წლებს.

მუსა-ფაშა ჰყონია. სცხოვრებდა XIX საუკუნის ნახევრამდე, იგი იყო ფაშათ დადგენილი 1830 წლებში, პირველათ ოსმალეთში მსახურებდა. 1840 წლებს, იგი დანიშნული იქმნა გონიოს ლაზისტანის ვალი-ფაშათ. ქართული ენის და წერა-კითხვის კარგი მცოდნე იყო, ამის ქართულ წერა-კითხვას ამტკიცებს თვით მისგან დაწერილი ქართული წერილები, რომლებსაც იგი გურიის მთავრებს სწერდა 1840 წლებში. ეს მუსა-ფაშა ჰყონია იყო ფხიზელი მოსამართლე მთელის გონიოს ლაზისტანისა და მასთანვე კარგათ მოლაპარაკე ქართულს ენაზედ და სასტიკათ დამცველი ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრების წესების და დიდათ მოსარჩლე აჭარა და გონიოს ლაზისტანისაც.

ოსმან-ფაშა თავდგირიძე. ძმა ალი ფაშისა, კარგად მცოდნე ქართული ენისა, წერა-კითხვისა და ლაპარაკისა, ერთ დროს ეს ცხოვრობდა აჭარაში, სოფ. ქედას და ირიცხებოდა აჭარის ფაშად. 1878 წ. ამან ბევრი იმეცადინა, რომ ბათუმი და მთლად სამუსულმანო საქართველო ოსმალეთს გამოჰყოფოდა და ცალკე საათაბაგოს სამთავროს მსგავსად ერთეული სამთავრო ყოფილიყოს, სადაც ფაშებათ, ანუ ათაბაგებათ ქართველი ფაშები უნდა ყოფილიყვნენ. ამისთვის ამათ თხოვნაც დააწერინეს ერთ ევროპიელს ინგლისურს ენაზე, ინგლისის კოროლევს გაუგზავნეს და სთხოვდნენ, რომ თქვენ დაგვეხმარეთ, რომ ჩვენი გურჯისტანი ოსმალეთისაგან გამოიყოს და საქართველოს შეუდგეს. ამ თხოვნას ხელს აწერდნენ სხვა და სხვა პირები და მათ შორის ხელი მოაწერა ოსმან-ფაშა თავდგირიძემაც, ამიტომაც მოხდა, რომ ამათ ოსმალებმა ღალატი დასწამეს. ოსმან-ფაშა ბოლოს დროს, ოსმალეთში გადასახლდა, აქ ამას კაი ადგილი ეკავა, როცა აჭარლებს და ან სხვა ქართველ-მაჰმადიანებს ნახავდა ოსმალეთში, ყველას იმას უქადაგებდა და ეუბნებოდა, რომ თქვენ ოსმალეთში არ დარჩეთ, თქვენს ქვეყანა საქართველოში წადით, იქ მოიკრიფეთ თავი და ბოლოს თქვენი ქვეყანა თქვენ დაიპყარითო. იქიდან თქვენ ნუ იფანტებით და მუჰაჯირათ ოსმალეთში ნუ მოდიხართო.

რამიზ-ფაშა დუმბაძე. 1854 წლის ომში განთქმული ძლიერი ფაშა, მოხუცი კაცი, თავის დროსვე კარგად მცოდნე ქართულის ენის, წერა-კითხვისა და მსჯელობის, მეტად კარგად მოლაპარაკე იყო, ნამეტურ ქართულის ენით. ესევე ფაშა იყო დიდად მოტრფიალე ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრების და სამუსულმანო საქართველოს თავისუფლებისა.

ფერხად-ფაშა მაჰავარიანი. ცხოვრებდა 1850 წლ., იყო რამიზ ფაშა დუმბაძის თანამედროვე, სახელგანთქმული კაცი და დიდათ მახვილი გონიერი, იცოდა კარგად ქართული ენა და წერა-კითხვაც. არის იმის ცნობაც, რომ ამ ფაშამ საქართველოს ისტორიაც იცოდა და აჭარლებს ყოველთვის იმაზედ ელაპარაკებოდა, რომ ამათ ოსმალეთის ხელში უსათუოდ შეენახათ თავთავიანთი დედა-ენა, ქართული ენა და წიგნის ხსოვნა და ყოველთვის სიყვარულით ყოფილიყვნენ თავიანთ ერთ ბუნების და ერთ სისხლის მქონე ქრისტიან ქართველებთან.

ხასან ფაშა თავდგირიძე. მე ვგონებ, რომ ამის სახელი უნდა იყოს ჰასანი და არა ხასანი. ამ ხასან ფაშამ სახელი განითქვა 1854 წ. რუს-ოსმალოს ომში. ხასან ფაშა იყო კარგათ მცოდნე ქართულის ენის, წერა-კითხვის და საქართველოს ისტორიისაც. ეს დიდი ერთგული იყო ოსმალეთის ფადიშახის, მასთანვე მას ჰქონდა აუცილებლად ის გარემოება, რომ ქართველ მაჰმადიანებს, ოსმალოს საქართველოში უნდა ჰქონიყოთ უპირატესობა და მასთან მთელი ამ კუთხის მართვა-გამგეობაც მათს ხელში უნდა ყოფილიყო და არა ოსმალების ხელში. ამიტომაც ამან ქობულეთიდან ოსმალოს ტომის კაცები განდევნა და მათ მაგიერ სულ აჭარლები, ქობულეთლები და სხვა ქართველი მაჰმადიანები დააყენა.

ხასან ფაშა 1854 წ. რუსთა წინააღმდეგ ოსმალთა ომში სასტიკათ იბრძოდა, ამიტომ გურულებმა ამაზედ გამოთქვეს შემდეგი ლექსი, რომლის ოთხი სტრიქონი მოგვყავს აქ:

„ხასან ბეგი თავდგირიძე
გარისხული ღვთისგან მეტი,
თათრის ფაშობა იშოვა,
სულ მთლად დაივიწყა ღმერთი“.

ამ ფაშის შესახებ აჭარაში, მოხუცებულებმა ბევრი ამბები იცოდნენ, ყველა იმას ამოწმებდა, რომ ხასან ფაშა გურჯისტანის და აჭარა-ქობულეთელების დიდი მოყვარე და მოსარჩლე იყოთ.

ზ. ჭიჭინაძე.

(შემდეგი იქნება)

კორესპონდენცია

იმერეთიდან

დ. ხარაგოული. პარასკევს, 30 მარტს, აქ 200 კაცამდე შეიარაღებული რაზმი გამოცხადდა სადგურზე ბათუმში წასასვლელად. მატარებელიც გამზადებული იყო მათ წასასვლელად. ჩასხდენ კიდეც. ის იყო მატარებელი უნდა დაძრულიყო რომ საითგანღაც ვიღაცამ მატარებელში შემოიტანა სოც.-დემოკრატიული პარტიის დროშა და მატარებელზე გადმოაფრიალა. ამის დანახვა და მატარებლის დაცლა ერთი იყო 40-45 კაცს გარდა ყველამ დასტოვა მატარებელი და გაემგზავრა მხოლოდ 40 კაცი: სად. ძირულაში მათ უნდა მიმატებოდათ კიდევ სხვები, მაგრამ იქაც უარი განაცხადეს ზემოაღნიშნულ პარტიის დროშით გამგზავრება ბრძოლის ველზე, რის გამოც რაზმის ხელმძღვანელი იძულებული გახდა მოეხსნათ დროშა. წამსვლელები ითხოვდნენ ხელმძღვანელებისაგან: თუ გაქვთ მოგვეცით დროშა რომელზედაც ეწერება „საქართველოს დამცველი ლაშქარი“, თუ არა და სულ არ გვინდა დროშაო. რაზმი უდროშოთ გაემგზავრა, მაგრამ ზესტაფონიდან დააბრუნეს.

—

შაბათს, 31 მარტს ადგილობრივ თეატრში ილარიონ ქღენტმა წაიკითხა საყურადღებო მოხსენება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაზე. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ს.-დემოკრატებმა. მაგრამ მათი შეკამათება იმდენად დემაგოგიური და უსაბუთო იყო, რომ დამსწრე საზოგადოებამ ნება არ მისცა ლაპარაკისა. მომხსენებელს მადლობა გადაუხადეს დამსწრეებმა.

—

კვირას, 1 აპრილს აქ, გაიმართა დიდი მიტინგი, რომელზედაც გამოვიდნენ ყველა პარტიის წარმომადგენლები და მოუწოდებდნენ ხალხს სამშობლოს დასაცავად. მიტინგმა გადასწყვიტა მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ჯარის შეგროვებაში.

—

ბათუმის აღება აქ ორშაბათს, 2 აპრილს გაიგეს. საშინელი შთაბეჭდილება დასტოვა მან ხალხზე. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა სტიროდა. იმ წამსვე გაიმართა კრება. კრებაზე გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა იღ. ქღენტმა, რომლის შემდეგ ილაპარაკეს ჯარის კაცებმა. ერთმა მოხუც ჯარის კაცმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც დაათავა შემდეგი სიტყვებით, ძმებო სამშობლო დაიღუპა. ბათუმს მტერი ვერ აიღებდა, ის გაყიდულია და შური უნდა ვიძიოთ. ომში ვიყავი, დავბრუნდი, ცოლი მკვდარი დამხვდა, ეხლა ერთი ბავშვის მეტი არა გამაჩნია რა, ისიც თქვენთვის შემომიწირავს, მე კი შური უნდა ვიძიო და სამშობლოს გამყიდველს გულში ტყვია უნდა გავუტარო. ყველა იმას გაიძახოდა, ბათუმი გაყიდულია. კრებამ აირჩია წარმომადგენლები თბილისში და სამტრედიაში გასაგზავნად. თბილისში სასწრაფოდ გაგზავნა იღ. ქღენტი, ტ. თაბუკაშვილი და კ. საყვარელიძე.

სტუმარი.

თბილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა
აღმასრულ. კომიტეტი

უკანასკნელად მოაგონებს ბ.ბ. ვაჭარ-მრეწველთ, რომელთაც მიიღეს, საქართველოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ, ერთ დროული გადასახადის უწყებები, დაუყოვნებლივ შემოიტანონ მათზე გაწერილი ფული. ხოლო ვისაც რაიმე მიზეზის გამო უწყება არ ჩაუბარებია გადაუდებლივ მოიკითხოს ასეთი კომიტეტის მდივანთან (მიხეილის პროსპ. № 5 ა. ბერულავაშვილის ღვინის საწყობი) დილის 10—12 საათამდე.

ფული ყველა ქართველ ვაჭარზე გაწერილი და უწყებით მიუღებლობა ვერ იხსნის მათ მოსალოდნელ პასუხის გებისაგან.

ვინც ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან ამის გამოცხადებისა, არ შემოიტანს ფულს, მათი სახელი და გვარი გაზეთებში გამოცხადდება და მათ წინააღმდეგ იქნება მიღებული შესაფერი ზომები.

3—941—1 აღმასრულებელი კომიტეტი.

თბილისის ეროვნ.-დემ. პარტიის მეორე უბნის
კომიტეტის კრება

დანიშნულია კვირას, აპრილის 8-ს, დილის 11 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში. დასწრება აუცილებლივ სავალდებულოა. 2—1

დილის წარმოდგენა
ქართული კლუბი

კვირას, 8 აპრილს, მსახიობი ელ. ანდრონიკაშვილი გამართავს წარმოდგენას, წარ. იქმნება ვ. აბაშიძის, ცაცა ამირეჯიბის და ალ. წუწუნავას მონაწილეობით

პირველად თბილ. სცენაზე შ. დადიანის პიესა
= გუშინდელნი =
3 მოქმედებად.
მონაწილეობს მთელი დასი.
დასაწყისი დილის 12 საათზე ✦✦ ბილეთები იყიდება.
1—340—1

ქართულ
„საპიორნი ბატალიონში“
ჩაწერა შეიძლება იმავე ბატალიონის შტაბში, რომელიც მოთავსებულია ყოფილ სამხედრო სასწავლებლის შენობაში; მიხეილის ქუჩაზე.
2—1575—2

სოფ. საგარეჯოში
(გარე კახეთი)
ყოველ კვირაობით იმართება
ბაზრობა
რასაც ვაცხადებთ მეზობელ სოფლების საყურადღებოდ.
3—1563—3

ქ. გორი
ექიმი
კ. მ. ელიოზიშვილი
დაბრუნდა და განახლა ავადმყოფების მიღება ძველ ბინაზე (ერთობის ქუჩა სახლი ზაალიშვილისა).
(10—1522—10)

მარტის 20 გაიხსნა ახალი
სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ ი. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანის

საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით. მიხეილის პროსპექტის და („კოროჩინი“ ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კოროჩინი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ
ალექსანდრე დავითის ძის
პაპალიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებთა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნიკა“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

[illegible]
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი [illegible] კლინიკისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.
ტელ. № 17—21.

ექიმი
გ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებისას სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ბელ-მონდის“ პირდაპირ.
თ—1018—23

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.
თ—1536—14

ექიმი
დიმიტრი (რამინ) იოსების ძე
ჟორდანია
სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა.
გორის ქუჩა № 6, დიდუბე.
ტელეფონი 14—37
1თ—960—31

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა გაზეთის შესახვევი № 4.